

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2021 წელი


**ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში, ივანე მაჩაბლის ქუჩასთან
მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების
სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში, ივანე მაჩაბლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს კინორეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).



X=476096 Y=4617169

შოთა და ხოლან მანგაძეების ქ.

X=476484 Y=4617206

1:2,000



ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბ-ნმიხეილ ამაშუკელს
მოქ: ზურაბ ქავთარაძის
მცხ: გეგეჩკორის N 2


პ/


გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ თხოვნით, რომ თბილისში წყნეთის საკრებულოს (ნაკვეთი 8/300) ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო უბანი (ქ.თბილისი) ტერიტორიაზე მდებარე დასახლების დამისამართება და ქუჩას მიენიჭოს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტი) პირველი რექტორის აკადემიკოსს ნოდარ ვალიშვილის სახელი.

იხ.დანართი 1

ზურაბ ქავთარაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY



წერილის ნომერი: **03-032104386**

თარიღი: **12/02/2021**

პინი: **7210**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული
ადრესატი: პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე ზურაბ ქავთარაძის 2020 წლის 27 დეკემბრის საქმე #19/03203622-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ.01.14.09.008.543).

მოგმართავთ თხოვნით, ზემოთ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი მოქალაქის მიერ წარმოდგენილი კონტურის შესაბამისად.


დანართი 2 (ორი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული კირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 16-01210531377
თარიღი: 22/02/2021
პინი: 4987

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 12.02.2021 წლის #03-032104386 (16.02.2021წ. #14-01210432036-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





შოთა მანაგაძე

(1901-1977)

ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი

დაამთავრა რუსთაველის თეატრის სტუდია 1925 წელს. 1938 წელს დაამთავრა სსრკ კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტთან არსებული კინოაკადემიის სარეჟისორო ფაკულტეტი.

1927-1928წწ. იყო ქუთაისის დრამატული თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი; 1929-1931წწ. თბილისის მუშათა ახალგაზრდობის თეატრის ხელმძღვანელი; 1932 წელს თბილისის წითელი არმიის თეატრის რეჟისორი; 1934-1936წწ. მუშათა ახალგაზრდობის რესპუბლიკური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი;

1935 წლიდან მოღვაწეობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. გადაიღო ფილმები: „ჭირვეული მეზობლები“, „ქართული ბაღეტის ოსტატები“ (ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად), „საბუდარელი ჭაბუკი“(ფილმი დაჯილდოვდა მოსკოვის I საკავშირო და საფრანგეთის საერთაშორისო კინოფესტივალების პრემიებით), „კეთილი ადამიანები“, „ხევსურული ბაღადა“ (დაჯილდოებულია კანისა და ვენეციის, შვეიცარიისა და სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალების პრემიებით), „ჯვარცმული კუნძული“, „მოლოდინი“ (ფილმი დაჯილდოვდა რეჟისორ ნოდარ მანაგაძესთან ერთად,ვარნის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზით), „წუთისოფელი“ (ასევე რეჟისორ ნოდარ მანაგაძესთან ერთად, თბილისის საკავშირო კინოფესტივალისა და სორენტოს საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზებით), „თვალი პატიოსანი“(გურამ ფანჯიკიძის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით).

რეჟისორი დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლებით. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.



ნოდარ მანაგაძე

(1943-2006)

რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

დაიბადა თბილისში 1943 წელს. 1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

1965 წლიდან იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი; 1988-1991წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი; 1990 წლიდან თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. რეჟისორია ფილმებისა: „წუთისოფელი“, „საერთო კედელი“, „კაშხალი მთაში“, „ნოე“, „ანგელოზის გადაფრენა“ და სხვ. მიღებული აქვს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პრიზი; საქართველოს, საკავშირო და საერთაშორისო პრემიები. 1980 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.